



განახლება მთავარი ეკონომისტისგან

მკვეთრი, თუმცა მოლოდინებთან
შესაბამისი პარდნა

26.02.2021


ოთარ ნადარაია
მთავარი ეკონომისტი

ანა მუავანაძე
უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)
მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება

ჯული ავლოხაშვილი
ანალიტიკოსი
მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება

მკვეთრი, თუმცა მოლოდინებთან შესაბამისი ვარდნა

რეალური მშპ-ის ზრდა (წ/წ, %)




საქსტატი-ს ყოველთვიური აკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების მიხედვით, რომელიც კვარტალური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ გადაიხედება

წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

უნაღდო ხარჯვის დინამიკა პერიოდულ სეპტორებში

(წ/წ, %, ლარში მიმდინარე ფასებით, 22 თებერვლის
მდგომარეობით)



შენიშვნა: სეპტორული ზრდები მოცემულია თიბისი ბანკის არხებით POS და ელ-კომერციის ხარჯვაზე დაყრდნობით; მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს სეპტორებში ბრუნვის ჯამური დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის ცვლილების, ასევე თიბისი ბანკის საბაზრო წილის ცვლილების გამო

წყარო: თიბისი ბანკი

წინასწარი შეფასებით, იანვარში რეალური მშპ-ის ვარდნამ წ/წ 11.5% შეადგინა. კლება ძირითადად შეინიშნებოდა მშენებლობაში, ტრანსპორტში, გართობისა და დასვენების სექტორში, დამამუშავებელ მრეწველობაში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებსა და საბითუმო & საცალო ვაჭრობაში. ამასთან, დადებითი ზრდის მამკენი დაფიქსირდა ინფორმაცია & კომუნიკაციებისა და საფინანსო & სადაზღვევო საქმიანობებში.

მიუხედავად იმისა რომ, იანვარში ეკონომიკური აქტივობის მაღალი ვარდნა დაფიქსირდა, აღნიშნული მამკენი მოლოდინებთან შესაბამისობაშია, რადგან კლება ასახავს გასული წლის იანვრის მაღალ საბაზო ეფექტს, მეორე ლოქდაუნის შემოღების შედეგებსა და ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიების კვლავ მკვეთრად შემცირებულ შემოსავლებს. ჩვენი პროგნოზის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს თვეებში ტურიზმის მნიშვნელოვანი აღდგენა არ არის მოსალოდნელი, მომავალ თვეში მშპ-ის ვარდნა შემცირდება, რადგან პანდემიის ეფექტის გავლენა 2020 წლის თებერვალში გარკვეულწილად უკვე შესამჩნევია იყო. უფრო მეტიც, [თიბისი კაპიტალის „აღდგენის დინამიკის“](#) მონაცემების მიხედვით, დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შედეგად,

თებერვალში რიგი სექტორების აღდგენა აშკარაა. ასევე მოსალოდნელია, რომ მარტში კიდევ უფრო დაბალი საბაზო ეფექტისა და მთავრობის მიერ გამოცხადებული [შეზღუდვების შემსუბუქების](#) გამო ეკონომიკური აქტივობა იანვართან შედარებით კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ სეზონურად სუსტი აქტივობის გამო იანვრის მშპ მთლიანი წლის მხოლოდ 6.8%-ს შეადგენს. საბოლოო ჯამში, ჩვენ მშპ-ის ბოლო პროგნოზს, რომელიც 2021 წელს მშპ-ის დაახლოებით 4%-ით, ხოლო 2022 წელს 7.5%-ით აღდგენას ითვალისწინებს, უცვლელს დავტოვებთ. იხილეთ უფრო მეტი თიბისი კაპიტალის მომავალ პუბლიკაციაში: „დაგვიანებული, თუმცა მაინც სწრაფი, ვიდრე ეტაპობრივი აღდგენა“.

თიბისი ბანკის ეკონომიკური გუნდი

ოთარ ნადარაია

მთავარი ეკონომისტი
onadaraia@tbcbank.com.ge

ანა მჟავანაძე

უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)
მაკრო-ფინანსური ანალიზის
განყოფილება
anmzhavanadze@tbcbank.com.ge

ჯული ავლოხაშვილი

ანალიტიკოსი
მაკრო-ფინანსური ანალიზის
განყოფილება
javlokhashvili@tbcbank.com.ge

ლუკა ლაშვილი

სტაჟიორი
მაკრო-ფინანსური ანალიზის
განყოფილება
llazviashvili@tbcbank.com.ge

თიბისი კაპიტალის კვლევების გუნდი

მერი ჩაჩანიძე, CFA

მმართველი დირექტორი
mchachanidze@tbccapital.ge

ალექსანდრა ბლუაშვილი

კვლევების უფროსი
ablushashvili@tbccapital.ge

თამარ ზაქაიძე

უფროსი ასოცირებული მკვლევარი
tazakaidze@tbccapital.ge

ანდრო თვალთაშვილი

ასოცირებული მკვლევარი
atvaliahvili@tbccapital.ge

ლუკა ჩიგილაშვილი

ასოცირებული მკვლევარი
lichilashvili@tbccapital.ge

ვლადიმერ ჟოღოშვილი

სტაჟიორი
vhogoshvili@tbccapital.ge

საქართველო, თბილისი,
მარტანიშვილის ქ. 7, 0102
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733
Email: research@tbccapital.ge
Email: macro@tbcbank.com.ge
Web-page: www.tbccapital.ge
Web-page: www.tbcresearch.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განცხადება

რეპორტში მოცემული განაცხადები, ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - თიბისი კაპიტალის კვლევების გუნდის და თიბისი ბანკის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს თიბისი კაპიტალის, თიბისი ჯგუფის ოფიციალურ ხედვას, მოსაზრებას ან პოზიციას. რეპორტში მოცემული ინფორმაცია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებს ემსახურება და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, თუმცა ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე არ არის გარანტირებული. ეს რეპორტი არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას ნებისმიერი შესაბამისი კანონმდებლობის ქვეშ ან/და ნებისმიერ ფასიანი ქაღალდის და ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვის/შეთავაზების მცდელობას ან/და რეკომენდაციას მსგავს ფასიან ქაღალდებთან ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ეს რეპორტი შესაძლოა მოიცავდეს პროგნოზის შემცველ განაცხადებს; მსგავსი პროგნოზის შემცველი განაცხადები მოიცავენ ნაცნობ და უცნობ რისკებს, გაურკვევლობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. არცერთი ამ რეპორტში მოცემული პროგნოზი, მოლოდინები, გათვლები არ უნდა იყოს აღქმული როგორც პროგნოზი ან დაპირება, ასევე არ უნდა იყოს აღქმული როგორც ნებისმიერი მინიშნება, რწმუნება ან გარანტია რომ დაშვებები, რომლებსაც მოცემული პროგნოზები, მოლოდინები ან გათვლები ემყარება არის ზუსტი და ამომწურავი, ან დაშვებების შემთხვევაში რომ რეპორტი მოიცავს ყველა დაშვებას. არც თიბისი ჯგუფი, არც თიბისი კაპიტალი და არც მოცემული რეპორტის ავტორები არ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგის, რომელიც წარმოიშობა ამ რეპორტის ან მისი შემადგენელი ნაწილების ან რეპორტის ნებისმიერი კავშირის გამოყენების შემთხვევაში. რეპორტი დაცულია საავტორო უფლებებით და მისი არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს აღდგენილი, თავიდან გამოქვეყნებული ან/და განაწილებული. ყველა უფლება დაცულია.



თიბისი კაპიტალი

108,400	Administrative expenses
105.42%	Profit before tax
164,200	tax
220,000	net profit